ავტომფლობელისა და საგზაო პოლიციელის ურთიერთობა რეგულირდება „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების მიხედვით.

## რა ვალდებულება გააჩნია ავტომფლობელს?

– რეგისტრაცია;
– ტექდათვალიერება.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სატრანსპორტო საშუალება, მისაბმელი თუ ნომრიანი აგრეგატი ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას, რომელსაც ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ყველა სატრანსპორტო საშუალება ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, აგრეთვე გადის სავალდებულო, პერიოდულ, სახელმწიფო ტექნიკურ დათვალიერებას. დათვალიერების შედეგად გაიცემა მოწმობა, რომელიც მოქმედებს გაცემიდან **ერთი წლის განმავლობაში**.

## ტარიფები:

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერებისას და რეგისტრაციისას მოქმედებს შემდეგი ტარიფები:
– ავტომანქანის მართვის მოწმობის გაცემა – 28 ლარი;
– საერთაშორისო ტიპის მართვის მოწმობის გაცემა – 109 ლარი;
– ავტომანქანის ტექნიკური პასპორტის გაცემა – 26 ლარი;
– სახელმწიფო სანომრე ნიშნის ერთი წყვილის გაცემა – 28 ლარი;
– სატრანზიტო სანომრე ნიშნის ერთი წყვილის გაცემა – 18 ლარი;
– მოტოციკლისა და მისი მისაბმელის სანომრე ნიშნის გაცემა – 14 ლარი;
– მსუბუქი ავტომანქანის ძარის გადაფორმება – 40 ლარი;
– სატვირთო ავტომანქანის კაბინის ან ჩარჩოს გადაფორმება – 32 ლარი;
– ფურგონის ტიპის სატვირთო ავტომანქანის ან ავტობუსის ძარის გადაფორმება – 63 ლარი;
– ავტოსატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვი მავნე აირების, ხმაურის, განათებისა და კვების სისტემის შემოწმება – 5 ლარი;
– ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების ფირნიშის ღირებულება – 1 ლარი;
– მსუბუქი ავტომანქანის დიაგნოსტიკური შემოწმება – 7 ლარი;
– ავტობუსის (25-მდე ადგილით) დიაგნოსტიკური შემოწმება – 10 ლარი;
– ავტობუსის (25 და მეტი ადგილით) დიაგნოსტიკური შემოწმება – 13 ლარი;
– 2 ტონამდე ტვირთამწეობის სატვირთო ავტომანქანის დიაგნოსტიკური შემოწმება – 10 ლარი;
– 2 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომანქანის დიაგნოსტიკური შემოწმება – 13 ლარი;

## რა ასაკიდან აქვს პირს უფლება მიიღოს ნებართვა მართვის უფლებაზე?

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება 18 წლის ასაკს მიღწეული პირი.

- **იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს გააჩერებს ავტოინსპექცია, იგი ვალდებულია თან იქონიოს:**

  – იმ კატეგორიის მართვის მოწმობა, რომელ სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს, ხოლო მძღოლის მოწმობის ჩამორთმევის შემთხვევაში – სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა;
  – სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტები;
  – სატრანსპორტო საშუალების ფლობის, სარგებლობის ან განმკარგულებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო მფლობელის არყოფნის შემთხვევაში – მისი სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა.

- **რა წესის დაცვით უნდა მოხდეს სატრანსპორტო საშუალების გაჩერება და რა პროცედურები ხორციელდება ავტოინსპექციის მიერ?**

პოლიციის მუშაკის მიერ სატრანსპორტო საშუალების გაჩერება უნდა მოხდეს ხელის ჟესტით, კვერთხის სიგნალის მიცემით სასტვენთან ერთად, ან ხმის გამაძლიერებლით. პილიციის მუშაკი წარუდგენს თავს მძღოლს და განუმარტავს გაჩერების მიზეზს [1]. თუ საქმე ეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე და 127-ე მუხლებით, ასევე127* მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებს (იხ. დანართი 1), **მაშინ პოლიციის თანამშრომელი უფლებამოსილია ადგილზევე დააჯარიმოს და კანონის შესაბამისად გადაახდევინოს ჯარიმა დამრღვევს**. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის **ადგილზე ჯარიმის გადახდის დროს მძღოლს გადაეცემა ქვითარი**. საჯარიმო სანქციები განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით (იხ. დანართი 1).
**თუ ასეთ დროს, დამრღვევი სადაოს გახდის დადებულ სახდელს და უარს განცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ხელი უნდა მოაწერონ ოქმის შემდგენმა და დამრღვევმა. თუ დამრღვევი უარს განაცხადებს ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში უნდა გაკეთდეს სპეციალური აღნიშვნა.

[1] თუ მძღოლს არ გააჩნია პიროვნების დამადასტურებელი საბუთი (პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, პასპორტი ა.შ.) და არც მოწმეებით ხერხდება მისი ვინაობის დადგენა, პილიციის მუშაკს შეუძლია მისი პოლიციაში მიყვანა.

- **რა პროცედურული მოქმედებები და ვადებია განსაზღვრული იმ შემთხვევაში, თუ ავტოსაშუალების მძღოლს ჩამოართვეს მართვის მოწმობა ან სხვა საბუთი და შეადგინეს ადმინისტრაციული ოქმი. ასევე შესაძლებელია თუ არა ადმინისტრაციული ოქმის სასამართლოში გასაჩივრება?**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი თანდართული საბუთებით დაუყოვნებლივ ეგზავნება კომპეტენტურ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს – საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს, განყოფილების, ქვეგანყოფილების უფროსებს ან უფროსის მოადგილეებს; საგზაო საპატრულო სამსახურის ქვედანაყოფის მეთაურებს და მათ მოადგილეებს; სახელმწიფო საავტომობილო და სხვა ინსპექტორებს, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ნორმატივების დაცვაზე. ამის შემდეგ ინიშნება საქმის განხილვის დრო და ადგილი, რის შესახებაც აცნობებენ დამრღვევს. მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქმე მაინც განიხილება. დამრღვევს უფლება აქვს იყოლიოს ადვოკატი, გაეცნოს საქმეში არსებულ ყველა მასალას და საქმის განხილვის დროს დააყენოს შუამდგომლობები. დარღვევის სახის მიხედვით განისაზღვრება საქმის განხილვის ვადა, რომელიც შეიძლება შეადგენდეს **ერთ, სამ, ხუთ, შვიდ ან თხუთმეტ დღეს** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან. საქმის განხილვის დამთავრების შემდეგ ხდება დადგენილების მიღება ადმინისტრაციული სახდელის დადების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. დადგენილება შეიძლება მისი მიღებიდან **10 დღის** განმავლობაში წერილობით გასაჩივრდეს ზემდგომ თანამდებობის პირთან ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. საჩივარი შეიტანება დადგენილების მიმღებთან და **3 დღის** განმავლობაში გადაეგზავნება კომპეტენტურ ორგანოს.

ზემდგომ ორგანოს არა აქვს სახდელის დამძიმების უფლება. გარდა ამისა, თუ საქმე განიხილა არაუფლებამოსილმა პირმა, ეს ქმნის დადგენილების გაუქმების საფუძველს.

## დანართი 1
### საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

**მუხლი # 116 - სატრანსპორტო საშუალების მართვა ნასვამ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ან ფსიქოტროქსიკური საშუალების ზემოქმედების ქვეშ, ან სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის;**

სატრანსპორტო საშუალების მართვა ნასვამ მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ნასვამი, ნარკოტიკული ან ფსიქოტროქსიკური საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის, - გამოიწვევს დაჯარიმებას სამოცდაათიდან ოთხმოც ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ერთიდან ორ წლამდე.
სატრანპორტო საშუალების მართვა ნასვამ მდგომარეობაში, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ან სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ნასვამ მდგომარეობაში, ნარკოტიკულ ან ფსიქოტროქსიკური საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის, რომელსაც არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, - გამოიწვევს დაჯარიმებას ას ათიდან ას ოც ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ერთიდან ორ წლამდე.
ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული დარღვევები, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, აგრეთვე იმ პირის მიერ, რომელსაც ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ამგვარი დარღვევებისათვის, - გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოციდან ას ორმოცდაათ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ორიდან სამ წლამდე.
სატრანსპორტო საშუალების მართვა ნარკოტიკული ან ფსიქოტროქსიკური საშუალების ზემოქმედების ქვეშ, - გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას სამი წლის ვადით.

**შენიშვნა: ამ მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლის შემდეგ მძღოლის მოწმობა მფლობელს დაუბრუნდება სრული გამოჯანმრთელებისას, დადგენილი წესით.**

**მუხლი # 117 - სიმთვრალის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროქსიკური ზემოქმედების დასადგენად შემოწმებისაგან თავის არიდება**

სატრანსპორტო საშუალების მართვისას განსაზღვრული წესით სიმთვრალის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროქსიკური ზემოქმედების დასადგენად შემოწმებისაგან თავის არიდება, - გამოიწვევს დაჯარიმებას სამოცდაათიდან ოთხმოც ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ერთიდან ორ წლამდე.

**მუხლი # 118 - იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია ტექნიკური დათვალიერება დაგენილი წესით, ან ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა**

იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია ტექნიკური დათვალიერება დადგენილი წესით - გამოიწვევს დაჯარიმებას სამიდან რვა ლარამდე ოდენობით. მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერი მფლობელის მიერ სხვა პირისათვის იმ სატრანსპორტო საშუალების გადაცემა, რომელსაც არ გაუვლია ტექნიკური დათვალიერება დადგენილი წესით, - გამოიწვევს მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერი მფლობელის დაჯარიმებას სამიდან რვა ლარამდე ოდენობით.

**მუხლი # 119 - სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევა**

სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც თან არა აქვს მძღოლის მოწმობა, მართვის დროებითი ნებართვა ან სატრანსპორტო სასუალების სარეგისტრაციო მოწმობა, ანდა

ავტომოტოტრანსპორტის მფლობელის სამოქალაქო პასუხსიმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პოლისი, ხოლო სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის არყოფნისას - საგზაო პოლიციაში რეგისტრირებული მართვის უფლების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მინდობილობა, ანდა საგზაო პოლიციის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე თუ სატრანსპორტო საშუალება ან მისი ნომრიანი აგრეგატი რეგისტრირებული არ არის დადგენილი წესით, ანდა გადაკეთებულია შესაბამისი ნებართვის გარეშე, - გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთიდან ათ ლარამდე ოდენობით. იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის მექნიზმი, მისაბმელი მოწყობილობა ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები და უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან შუშის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას ათიდან თხუთმეტ ლარამდე ოდენობით. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული დარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობების, აგრეთვე სხვა ქონების დაზიანება, - გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით სამიდან ექვს თვემდე.

**შენიშვნა: ამ კოდექსის 116-ე, 118-119-ე, 121-122-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, მძღოლის მოწმობის ან სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში, საქმის განხილვამდე დამრღვევს დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადგომზე შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევ მძღოლს, ხოლო იმ ტექნიკური უწესივრობებით მართვისას, რომლებიც კრძალავს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას, არ დაიშვება ასეთი სატრანსპორტო საშუალების შემდგომი გადაადგილება. სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მიერ მართვის უფლების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის, მინდობილობის რეგისტრაცია საგზაო პოლიციაში და სატრანსპორტო საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა საგზაო პოლიციის მიერ ხდება უსასყიდლოდ. კოდექსში აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებად ჩაითვლება ყველა სახეობის ავტომობილი, ტრაქტორი და სხვა თვითმავალი მანქანა, ტრამვაი და ტროლეიბუსი, აგრეთვე მოტოციკლი და სხვა ძრავის მოძრავი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (მოპედის გარდა).**

### მუხლი # 121 - სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვანისათვის ან იმ პირისათვის, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება

სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვანისათვის ან იმ პირისათვის, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, - გამოიწვევს დაჯარიმებას ოციდან ოცდახუთ ლარამდე ოდენობით. იგივე დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება, - გამოიწვევს დაჯარიმებას ოცაათიდან ოცდათხუთმეტ ლარამდე ოდენობით. სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება ჩამორთმეული აქვს ამ კოდექსის 119-ე მუხლის მესამე ნაწილით, 120-ე, 122-ე, 123-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის, - გამოიწვევს დაჯარიმებას სამოციდან სამოცდახუთ ლარამდე ოდენობით. ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება, - გამოიწვევს დაჯარიმებას სამოცდაათიდან ოთხმოც ლარამდე ოდენობით. სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში ანდა ნარკოტიკული ან ფსიქოტოქსიკური ზემოქმედების ქვეშ მართვისას, - გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოციდან ას ორმოცდაათ ლარამდე ოდენობით. ამ მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება, - გამოიწვევს დაჯარიმებას ას სამოციდან ას სამოცდაათ ლარამდე ოდენობით.

### მუხლი # 122 - სატრანსპორტო საშუალების მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე

წინასწარი შეცნობით სატრანსპორტო საშუალების მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვისი, ან შენიღბული, ან სხვაგვარად შეცვლილი, ან სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით, ან ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა, აგრეთვე, თუ სატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული არ არის დადგენილი წესით, - გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან სამოც ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

### მუხლი # 123 - საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება ან სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ პოლიციის მუშაკის მოთხოვნის შეუსრულებლობა

მძღოლის მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება, რომლის მონაწილეც თავად არის, - გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდახუთიდან ოცდაათ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე. სატრანსპორტო საშუალების შეჩერების შესახებ პოლიციის მუშაკის მოთხოვნის ბოროტად შეუსრულებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდახუთიდან ოცდაათ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

### მუხლი # 125 - სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, გარდა ამ მუხლის მეორე ნაწილში მითითებული შემთხვევებისა, საქვეითო გადასასვლელის გავლის, გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალების განლაგების, დგომა-გაჩერების, ბუქსირების, ტვირთის გადაზიდვის, გარე სანათი ხელსაწყოთი ან ხმოვანი სიგნალით სარგებლობის, მოძრაობის დაწყებისა და მანევრირების, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან ავტომაგისტრალზე მოძრაობის წესების ანდა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის დარღვევა, აგრეთვე მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას, აგრეთვე აკრძალულ ადგილზე ან არასწორად დაყენებული სატრანსპორტო საშუალების მიტოვება, - გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთიდან ათ ლარამდე ოდენობით. სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 30 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული ("დაუთმე გზა", "მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია") ან ამკრძალავი ("შესვლა აკრძალულია", "მოძრაობა აკრძალულია") ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთის, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა, - გამოიწვევს დაჯარიმებას თხუთმეტიდან ოც ლარამდე ოდენობით. ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა, მოძრაობის შეფერხება, ან სატრანსპორტო საშუალებათა, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან ქონების დაზიანება, გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ ლარამდე ოდენობით, ან მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით სამიდან ექვს თვემდე.

**შენიშნვა: მიტოვებულ სატრანსპორტო საშუალებას გადაიყვანენ სპეციალურ, დაცულ სადგომზე ან თვლებს გაუკეთდება ბლოკირება სპეციალური საშუალებით, თუკი მინიშნება ამის თაობაზე თან ახლავს ამკრძალავ ნიშანს, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯების დაეკისრება დამრღვევ მძღოლს. თუ სატრანსპორტო საშუალების გადაყვანა სადგომზე არ ხერდება, მას საქარე მინაზე მიეკერება სპეციალური ფორმის საჯარიმო ქვითარი. დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს 30 დღის განმავლობაში.**

### მუხლი # 127' - საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვის, ავტოსადგურის მუშაობის, სატრანსპორტო საგზაო ბარათის წარმოებისა და მისი გამოყენების წესების დარღვევა

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა, - მოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან შვიდას ორმოცდაათ ლარამდე. საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვის, ავტოსადგურის მუშაობის წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას ათიდან სამას ლარამდე. საავტომობილო ტრანსპორტზე სატრანსპორტო საგზაო ბარათის წარმოებისა და მისი გამოყენების წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთიდან ორას ლარამდე.

### მუხლი # 300 - სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების წესი

დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღსრულდება მძღოლის მოწმობის და მასზე დართული ტალონის ჩამორთმევით იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს ჩამორთმეული აქვს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება. თუ მძღოლს ჩამორთმეული აქვს არა ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, მაშინ მძღოლის მოწმობაში და მასზე დართულ ტალონში აღინიშნება, თუ რომელი სახის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აქვს ჩამორთმეული. თუ მძღოლი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, თავს არიდებს მძღოლის მოწმობის ჩაბარებას, მძღოლის მოწმობას დადგენილი წესით ჩამოართმევენ შინაგან საქმეთა ორგანოები. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობის ჩამორთმევის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო. დადგენილება ზომამცირე გემების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღსრულდება საქართველოს რესპუბლიკის ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოების მიერ მძღოლის მოწმობის და მასზე დართული ტალონის ჩამორთმევით.

მომზადებულია
სამართლებრივი განათლების ასოციაციის
მიერ

თბილისი
ინგოროყვას ქუჩა 14
ტელ.: 995 32 93 58 41, 92 29 14
ფაქსი: 995 32 92 05 96
ელ-ფოსტა: alpeonline@gol.ge

ALPE




# ავტომფლობელისა და საგზაო პოლიციის ურთიერთობა